პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 228 (13044) | სამშაბათი, 29 სექტემბერი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

პროგრესული კაცობრიობის დღესასწაული

პირველი ინტერნაციონალის დაარსების ასი წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება მოსკოვში

ოქტომბერი ფურცლად შევიდა კაცობრიობის ისტორიაში 1864 წლის 28 სექტემბერი. ზუსტად ასი წლის წინათ ამ დღეს იშვა პროლეტარიატის მასობრივი საერთაშორისო კომუნისტური ორგანიზაცია — I ინტერნაციონალი, რომელიც შექმნეს პროლეტარიატის დიდმა ბელადებმა და მასწავლებლებმა კარლ მარქსმა და ფრიდრიხ ენგელსმა.

ასი წლის წინათ მეცნიერული კომუნიზმი მხოლოდ ფეხს იდგამდა მუშათა მოძრაობაში.

ამგვამად კი მარქსიზმ-ლენინიზმი ასობით მილიონი მშრომელის მებრძოლის დროშა გახდა. სახელოვანი იუბილე დედამიწის ყველა კონტინენტზე კომუნიზმის იდეების გამარჯვების ვითარებაში აღინიშნება. უკვე კაცობრიობის მესამედზე მეტი განთავისუფლდა კაპიტალისტური ექსპლოატაციისაგან, სოციალური ჩაგვრისაგან და წარმატებით აშენებს ახალ ცხოვრებას. მარქსიზმ-ლენინიზმის, პირველი ინტერნაციონალის რევოლუციური ტრადიციების ერთგული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, სხვა ქვეყნების ძმაბმულ კომუნისტური და მუშათა პარტიები მტკიცედ მიდიან მთელ მსოფლიოში სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვების გზით, რომელიც მარქსმა, ენგელსმა, ლენინმა გვიჩვენეს.

პირველი ინტერნაციონალის ასი წლისთავი, რომელიც, როგორც ლენინმა თქვა, დაუვიწყარი და მარადიულია მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაში, — მთელი მსოფლიო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის, მსოფლიოს ყველა პროგრესული ადამიანის დიდი, ნათელი დღესასწაულია.

28 სექტემბერს საღამოს მოსკოვში, სსრ კავშირის დიდ თეატრში გაიმართა პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული აქტივის საზეიმო კრება, რომელიც ღირსშესანიშნავ თარიღს მიეძღვნა. კრებას ესწრებოდნენ მსოფლიოს სხვადასხვა რაიონის მარქსისტულ-ლენინური პარტიების, დემოკრატიულ მოძრაობათა წარმომადგენლები.

თეატრის მაყურებელთა დარბაზი საზეიმოდ არის მორთული. სცენის სიღრმეში დიდ წითელ დროშაზე მოჩანს კ. მარქსის, ფ. ენგელსის, ვ. ი. ლენინის პორტრეტები. იკვეთა მოწოდება: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“, ბრწყინავს თარიღები „1864-1964“.

გაისმის მქუხარე ტაში და პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ი. ვორონოვი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. მიკოიანი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ვ. ვ. გრიშინი, ლ. ნ. ეფრემოვი, ვ. პ. მჟავანაძე, ვ. ი. პოლიაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ა. პ. რუდაკოვი, ვ. ნ. ტიტოვი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებთან არიან სახელოვანი ლენინური გვარდიის ვეტერანები, უხუცესი კომუნისტები ფ. ნ. პეტროვი, პ. ი. ვოეროდინი, მ. ა. კომინ-ალექსანდროვსკი, მოძმე კომუნისტური პარტიების წარმომადგენლები: ესპანეთის კომპარტიის თავმჯდომარე დოლორეს იბარური, ჩილის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მოადგილე ხოსე გონსალესი, ვენესუელის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ედუარდო გალეიგოს მანსერა, ტუნისელ კომუნისტთა ერთ-ერთი ხელმძღვანელი მოჰამედ ჰარმელი, ბოლივიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მარიო მონხე, ინდოეთის კომპარტიის ეროვნული საბჭოს წევრი ბეგუმ ჰაჯრა, ისრაელის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი სამუელ მიკუნისი, ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი შუმაკი. მორტიმერ დანიელ რუბინი. ინდონეზიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი პარდედე პარისი.

საზეიმო კრებას ხსნის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი. შეკრებილნი დიდი ყურადღებით უსმენენ მის მკაფიო სიტყვას. დარბაზში გაისმის მჭუხარე ტაში.

სიტყვა მოხსენებისათვის — „პროლეტარული ინტერნაციონალიზმი ჩვენი ეპოქის რევოლუციური დროშაა“ — ეძღვნება სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხანაგ ბ. ნ. პონომარიოვს. მისი მოხსენების დროს არაერთხელ გაისმა ტაში.

მოხსენების დამთავრების შემდეგ დარბაზში დამსწრენი ერთად დგებიან ფეხზე და უდიდესი აღფრთოვანებით მღერიან უკვდავ პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“.

საზეიმო ნაწილის შემდეგ გაიმართა კონცერტი. (საკდესი).

საყოფაცხოვრებო მომსახურება — სანიმუშო დონეზე

ნარმოების სფეროში იქმნება საზოგადოებრივი დოვლათი. ეს ყველასათვის ნათელია. მაგრამ ისიც ცხადია, რომ თვით მატერიალური წარმოებას, ტექნიკურ პროგრესს, საბჭოთა ადამიანების შრომისა და ცხოვრების პირობებს მუდამ სჭირდება მომსახურების სფეროს სრულყოფა.

წარმოებაში მომუშავე მუშას შესვენების დროს ცუდი მომსახურების გამო ნერვები თუ აეშლება, ცხადია, მისი შრომის ნაყოფიერება ისეთი არ იქნება, რისი შესაძლებლობაც მას აქვს. ასევეა დიასახლისი, სხვადასხვა პროფესიის მოქალაქე.

მართალია, საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკებს ხელში არ უჭირავთ ქაფჩა და საღებავსაშხეფი, არ მუშაობენ სახარატო ჩარხებსა და საქსოვ დაზგებზე, მიწის წიაღიდან არ ამოაქვთ ქვანახშირი და მარგანეცი, მაგრამ ისინი მუდამ იმათ გარშემო არიან, ვინც მატერიალურ დოვლათს ქმნის. საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკები თუ არა, ისე წარმოოდგენელია საბჭოთა ადამიანის ცხოვრების მოწყობა. მათი მომსახურება ალამაზებს ჩვენს ყოფაცხოვრებას.

ყოველი საბჭოთა ადამიანი, — თქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — დროის მეტ ნაწილს სამუშაოს გარეშე აკაურებს, მას საქმე აქვს სხვადასხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებისა და ორგანიზაციის მომსახურებასთან. არავის არ შეუძლია იარსებოს ისე, თუ არ გამოიყენა მაღაზისა თუ სასადილოს, კინოსა თუ სამკერვალო სახელოსნოს, სახლმმართველობისა თუ მუზეუმის. პოლიკლინიკისა და ბიბლიოთეკის მომსახურება. აქ მილიონობით პატიოსანი მშრომელი მუშაობს, რომლებიც ძალასა და გამოცდილებას ახმარენ თავიანთ საქმეს. უნდა წავასახლოთ მომსახურების დარგის მუშაკთა შრომა, უფრადღებითა და მზრუნველობით მოვეკიდოთ მათ.

ჩვენს რესპუბლიკაში მომსახურების სფეროში დასაქმებულია ათასობით ადამიანი. მათს შრომას მუდამ უნდა აქცევდნენ უურადღებას პარტიული ორგანიზაციები. კომუნისტები, რომლებიც მაღაზიებსა და სასადილოებში, კინოთეატრებსა და ატელიეებში, პოლიკლინიკებსა და ბიბლიოთეკებში, სხვა დაწესებულებებსა და საწარმოებში მუშაობენ, მოწოდებული არიან მიაღწიონ იმას, რომ მოსახლეობის მომსახურების ხარისხი ყველგან ჩინებული იყოს, რომ სულ უფრო სრულად კმაყოფილდებოდეს საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილება და საჭიროება, იზოგებოდეს მათი დრო.

როგორც ყველგან, ისე საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებზეც უწინარეს ყოვლისა „კომუნისტები და კომკავშირელები უნდა აჩვენებდნენ ადამიანებისადმი გულისხმიერი, მზრუნველი დამოკიდებულების. მოსახლეობის მომსახურების მაღალი კულტურის მაგალითს. შექურები უნდა იყვნენ სახალხო მეურნეობის ამ დიდმნიშვნელოვან დარგშიც.

საქართველოში საყოფაცხოვრებო მომსახურების მრავალმა მუშაკმა მომსახურების მაღალი კულტურით სახელი გაითქვა, მოსახლეობის პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. მათ რიცხვს ეკუთვნის თბილისის გასტრონომფაბრიკის № 31 მაღაზია (დირექტორი ა. პირტახია). ამ ერთსულოვანი, ინიციატივიანი კოლექტივის შესახებ მომხმარებლებისაგან ხშირად გაიგონებთ მადლიერების სიტყვებს. გამყიდველები მუდამ თავაზიანად ეპყრობიან მომხმარებლებს, მტკიცედ ახორციელებენ კომუნისტური შრომისა და ყოფაცხოვრების წესებს. ვაჭრობის მაღალი კულტურის, მომხმარებლებთან თავაზიანი მოპყრობისა და გეგმების სისტემატურად გადაჭარბებით შესრულებისათვის მაღაზიამ დამსახურებულად მოიპოვა ერთ-ერთი მოწინავე მაღაზიის წოდება.

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის. მუშა-მოსამსახურეთა შორის კარგი სახელი მოიხვეჭა მზარეულმა ნ. ჩიქვილაძემ — სადილების მომზადების დახელოვნებულმა ოსტატმა. ასევე მადლიერებით იხსენიებენ მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკის მზარეულს ლ. გილიგაშვილს.

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მოწინავე მაღაზიებ წარმატებით „ყენებენ ვაჭრობის ისეთ კარგ ფორმებს, როგორიც არის საჭონლის გაყიდვა გადოლაგებული ჩვენებით და ნიმუშების მიხედვით, მყიდველთა თვითმომსახურება. შეკვეთების მიღება შინ, ქსოვილების გამოკრა და ტანსაცმლის ტანზე მორგება. ბევრმა გაუყიდველმა ისწავლა ვიტრინების ლამაზად და გემოვნებით გაფორმება. საქართველოში ვაჭრობის ეს კარგი ფორმები სამართლიანად აღნიშნა გაზეთმა „პრავდამ“ 12 სექტემბრის მოწინავე წერილში.

დიდი მოთხოვნები აქვთ წაყენებული საზოგადოებრივი კვების მუშაკებს. მათ თვალსაჩინო როლი უნდა შეასრულონ კომუნისტურ საწყისებზე ყოფაცხოვრების გარდაქმნის საქმეში. სასადილოების, რესტორანების, კაფეების, საოჯახო სამზარეულოების მუშაკთა მოვალეობაა ყოველდღიურად იზრუნონ იმისათვის, რომ მომხმარებელი გემრიელ კერძებს იღებდეს, რომ მას სწრაფად და კარგად ემსახურებოდნენ.

დიასახლისების შრომის შემსუბუქებისათვის კარგი წამოწყებაა საოჯახო სამზარეულოების შექმნა. თბილისში უკვე შექმნილია ასეთი სამზარეულოები. რუსთაველის პროსპექტზე მდებარე სამზარეულოს გემრიელი კერძებით უკვე გაითქვა სახელი. მაგრამ ამ ბარიანში შემოდგომის პერიოდში უხეირო მომარაგების გამო აქ ხშირად არა აქვთ ბოსტნეული, კერძები ერთფეროვანია, ამიტომ არის, რომ დღეში 50 სადილის მეტი არ გადის. ამაზე უფრო მეტი უნდა იფიქროს რესტორანების ტრესტის ხელმძღვანელობამ.

საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში ძირითადად პატიოსანი, შეგნებული, ენერგიული ხალხი მუშაობს. და მაინც ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში მშრომელთა საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებანი ცუდად კმაყოფილდება. მოსახლეობისათვის გაწეული სხვადასხვა მომსახურების ფაქტიური მოცულობა ყოველთვის არ შეესაბამება მზარდ მოთხოვნებს.

საქართველოში ყოველწლიურად იზრდება სამეცრვალო სახელოსნოების, სამრეცხაოების რიცხვი. ამასთან დაკავშირებით საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და საყოფაცხოვრებო დანიშნულების საწარმოების მუშაკებმა უდიდესი ამოცანები უნდა გადაწყვიტონ. მათზე ბევრად არის დამოკიდებული იმ პირობების შექმნა, რომლებიც მშრომელებს საშუალებას მისცემს მეტი დრო დაუთმონ დასვენებას, განათლებას, კულტურულ გართობას, სპორტს. დაეზოგოთ საბჭოთა ადამიანის დრო — აი კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოთა მშრომელების დევიზი. ისინი მოგალები არიან ბოლო მოუღონ ისეთ არანორმალურ მოვლენებს, როგორიც არის რიგები საპარიკმახეროებში, სახელოსნოებში. აბანოებში, კაფეებში, ნაოჭებ-საყოფაცხოვრებო მომსახურება ქალაქად და სოფლად, ათასობით მოსახლეობის მომარაგების კულტურა.

მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში მშრომელთა მოთხოვნილებები ცუდად კმაყოფილდება. ჩვენს დროში არ შეიძლება ძველებურად საქონლის მექანიკური განაწილების მეთოდებით ვაჭრობა. კარგად უნდა შევისწავლოთ მოსახლეობის მოთხოვნილება და მის მიხედვით ვიზრუნოთ სათანადო საქონლით მაღაზიების მომარაგებისათვის.

ძირეულ გაუმჯობესებას მოითხოვს საყოფაცხოვრებო მომსახურების კადრებთან მუშაობა. ჯერ კიდევ იშვიათი როდია შემთხვევა, რომ სავაჭრო ორგანიზაციებში იპარებიან არაკეთილსინდისიერი მუშაკები. ისინი თავიანთი ულალობანდობით, მომხმარებლებთან არათავაზიანი მოპყრობით ხალხს უტეხენ საყოფაცხოვრებო მომსახურების კარგ მუშაკებსაც. ამიტომ პარტიულმა ორგანიზაციებმა მკაცრი კონტროლი უნდა დაიწესონ, რათა საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებზე არ შეგვეპაროს არაკეთილსინდისიერი ადამიანები. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყურადღებიანი და გულისხმიერი დამოკიდებულება ადამიანებისადმი წესად გაიხადოს ყველამ, ვინც ყოფაცხოვრებას ემსახურება. ყოველნაირად უნდა წავახალისოთ პატიოსანი, გულმოდგინე მუშაკები, ყველასათვის მისაბაძი უნდა გავხადოთ მათი მაგალითი. საჭიროა გავკიცხოთ დაუდევრნი. თალხლითები და გაიძვერები ახლოს არ უნდა გავაკაროთ მოსახლეობის მომსახურების სფეროს.

მშრომელთა მომსახურებისათვის ზრუნვა ჩვენი ღვიძლი. პარტიული, საქმეა. ამიტომ პარტიული, კომკავშირული, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების. ადგილობრივი საბჭოების მოვალეობაა მიაღწიონ იმას. რომ კომუნიზმის მშენებელ ადამიანებს ყველგან ზრუნვით ემსახურებოდნენ, უურადღებით ითვალისწინებდნენ მათს ინტერესებსა და მოთხოვნილებებს. რომ საბჭოთა ადამიანის ყოფაცხოვრება დღითიდღე უმჯობესდებოდეს.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა 27 სექტემბერს დარბაზობათა სახლში სადილი გამართა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად. რომელიც მოსკოვში იმყოფება და ჩეკინს მიემგზავრება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მე-15 წლისთავის დღესასწაულზე.

სადილზე იყვნენ რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იონ გეორგე მაურერი (დელეგაციის მეთაური), რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ემილ ბოდნეარაში და სხვები.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ ა. ნ. კოსიგინი, ვ. პ. მჟავანაძე და სხვები.

სადილის დროს გაიმართა მეგობრული და გულახდილი აზრთა გაზიარება ურთიერთსაინტერესო საკითხებზე.

ამხანაგებმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და იონ გეორგე მაურერმა სადღეგრძელოები წარმოთქვეს. (საკდესი).

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიილო

ქუბის რესპუბლიკის ხელმძღვანელი მოღვაწენი

28 სექტემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა კრემლში მიიღო ქუბის რესპუბლიკის ხელმძღვანელ მოღვაწეთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში არიან კავშირგაბმულობის მინისტრი ხ. მონტანე ოროპესი, სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის რარიენტეს პროვინციის კომიტეტის მდივანი ხ. რისკეტ ვალდესი, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე მ. ერნანდესი და კუბის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში კ. ოლივარეს სანჩესი.

ამხანაგმა კ. ოლივარეს სანჩესმა ნ. ს. ხრუშჩოვს გადასცა ჟურნალ „კუბის“ პირველი ნომერი, რომლის გამოცემა რუსულ ენაზე 1964 წელს დაიწყო.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და კუბელ ამხანაგებს შორის გაიმართა გულთბილი, მეგობრული საუბარი, რომელსაც ესწრებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ლ. ნ. ტოლუბნოვი.

კიმ ირ სენისა და ცოი ენ გენის დეპეშა ნ. ს. ხრუშჩოვსა და ა. ი. მიკოიანს

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა ამხანაგებმა კიმ ირ სენმა და ცოი ენ გენმა ამხანაგებს ნ. ს. ხრუშჩოვსა და ა. ი. მიკოიანს გამოუგზავნეს დეპეშა, რომელშიც მადლობას უცხადებენ კორეელი ხალხის ეროვნული დღესასწაულის — კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის მე-16 წლისთავის გამო მოლოცვისათვის.

სულითა და გულით ვუსურვებთ მოძმე საბჭოთა ხალხს, წერენ კიმ ირ სენი და ცოი ენ გენი, ახალ წარმატებებს მშვიდობისა და კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

ვიზიტად ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 28 სექტემბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის, მოწვეული ოფიციალური ვიზიტით ჩამოდის ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი დოქტორი სუკარნო.

დოქტორ სუკარნოს მოგვაკალი ვიზიტი სსრ კავშირში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვეული მიმდინარე წლის 29 სექტემბერს მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოდის ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი დოქტორი სუკარნო.

მეჩაიეებო, რა გააკეთეთ დღეს იმისათვის, რომ ვალდებულება პირნათლად შესრულდეს!..

გეგმის შესრულების შემდეგ მთავარია ვალდებულება

ვიკისრეთ, შევასრულეთ!

აგიტატორების საშუალებით გავეცანით პრესაში გამოქვეყნებულ ქობულეთის საწარმო სამმართველოს ჩაის ფრონტის ვეტერანების, ჩაის ფოთლის სიუხვისათვის ახალგაზრდა მოლაშქრეების პატრიოტულ წერილს რესპუბლიკის ყველა მეჩაიესადმი. ქობულეთელებმა ერთხელ კიდევ გადახედეს თავიანთ შესაძლებლობებს, გამოუყენებელ რეზერვებს და მთელი ძალით გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად.

ცხაკაიას საწარმოო სამმართველოს მეჩაიეები ერთსულოვნად ვუჭერთ მხარს ქობულეთელ მეჩაიეებს. გადავწყვიტეთ ჩაის ფოთოლი კვრიფოთ ყოველგვარ ამინდში, ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ 15 ოქტომბრამდე სამშობლოს მივცეთ 11.700 ტონა „მწვანე ოქრო“ ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 10.300 ტონისა.

ცხაკაიელმა მშრომელებმა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის პირველ წელს ცუდად როდი იმუშავეს. მათ რესპუბლიკის კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით. გუშინდელი დღის ჩათვლით უკვე მოკრიფეს 10.900 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული და ამით კრეფის წლიურ გეგმას 600 ტონით გადაჭარბეს. ვალდებულების შესასრულებლად კიდევ მოსაკრეფია 800 ტონა.

უკანასკნელ დღეებში ამინდი კარგია, ფოთოლი საკრეფად არის. რაც დღემდე გავაკეთეთ, საკმარისი როდია. ცხაკაიელი მეჩაიეები, რომლებიც განაგრძობენ ლაშქრობას „მწვანე ოქროს“ სიუხვისათვის, ყველაფერს გააკეთებენ, რომ პირნათლად შეასრულონ ნაკისრი ვალდებულება.

ტ. ტყეშელაშვილი — ცხაკაიას საწარმოო სამმართველოს სოფელ ზანის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი; **ი. შენგელია** — ხაბუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე; **ც. ხარჩილავა** — უშაფათის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, მერგოლური; **ნ. შენგელია** — ხაბუმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი; **ალ. გვასალია** — ხორშის კოლმეურნეობა „გამარჯვებას“ თავმჯდომარე.

გუშინ პლანტაციებში

— ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა, — განაცხადა საუბარში ორჰიჩირის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა **ი. ამიჩბამ,** — ჯერ კიდევ 20 აგვისტოსათვის შესრულდა. მაშინ რაიონის მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით მოეკრიფათ 1.200 ტონა ჩაის ნედლეული. თავდადებულად იშრომეს მეჩაიეებმა და ვალდებულების ანგარიშში უკვე მოკრეფილია 1.080 ტონაზე მეტი.

დიდი მოწონება გამოიწვია ქობულეთელ მეჩაიეთა წერილმა რესპუბლიკის მეჩაიეებისადმი. **ორჰიჩირელები პირობას დებენ სამშობლოს მისცენ ნაკისრი ვალდებულებაზე მეტი. ისინი მოკრეფენ 1.400 ტონას ნაცვლად ნაკისრი 1.200 ტონისა.** მეტი ჩაისათვის ლაშქრობაში წინ მიდიან **ბესლახუბის, კოჩარის, ათარის, კვიტოულის, ჯგერდის, კინდლის** და სხვა კოლმეურნეობები.

ქობულეთელი მეჩაიეების პატრიოტულმა წერილმა ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია **გეგეჭკორის** საწარმოო სამმართველოს მეჩაიეებში. ამ დღეებში მეჩაიეთა საქმიანობის შესახებ პარტიულ-ეროვნული საქმიანობის შესახებ პარტიულ-ეროვნული

სიტყვა და საქმე

— **რაიონის** მეჩაიეები, — გვაცნობებს **გალის** საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. **ვ. კოკაია,** — მიღწეულს არ სჯერდებიან.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სულ მოკრეფილია **15.600 ტონამდე „მწვანე ოქრო“, ანუ გეგმაზე 250 ტონით მეტი.** ბრძოლა გაჩაღებულია იმისათვის, რომ სეზონის ბოლომდე შესრულდეს ნაკისრი ვალდებულება. **კრეფა წარმატებით მიმდინარეობს მზიურის** კოლმეურნეობაში, რომელმაც უკვე მოკრიფა **385 ტონა ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 365 ტონისა.**

სოფელ **ზიხაზურის** ჰაეჰაეაძის სახელობის კოლმეურნეობამ **400 ტონის** ნაცვლად მოკრიფა **455 ტონა, ოქუმის** ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ ვალდებულების ანგარიშში მოკრიფა ათობით ტონა ჩაის ფოთოლი. ასევე წარმატებით კრეფენ ნედლეულს **აჩიგვარის** ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიეები.

აღსანიშნავია ჭუბურხინჯელი ცნობილი მეჩაიის **ციალა ყოლბაიას** შრომითი მამაცობა. მან წლიური დავალება ჯერ კიდევ ორი თვის წინათ შეასრულა და იბრძვის **12 ტონა** ჩაისათვის.

ხაშურის საწარმოო სამმართველოს მოხისის კოლმეურნეობის მინდვრის მშრომელები საფუძველს აქედანვე უყრიან მომავალი წლის უხვ მოსავალს. თესვაში დაწინაურდა მექანიზატორი გ. რევაზიშვილი. იგი ყოველდღიურ დავალებას გადაჭარბებით ასრულებს.

სურათზე: მექანიზატორი გ. **რევაზიშვილი.**

ფოტო ი. **დავითაშვილისა** (საქდესის ფოტოქრონიკა).

თვითდამშვიდების ტყვეობაში

ჩაის ფოთოლი არის, რატომ არ კრეფენ?

წელს ზუგდიდის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამეურნეო წლის დასაწყისიდანვე დაიწყო ბრძოლა შვიდწლედის მეექვსე წლის გეგმების ვადაზე ადრე შესრულებისათვის. ადრე დილიდან დაღამებამდე დაუღალავად მუშაობდნენ მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეჩაიეები. შედეგიც კარგია. მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა, საწარმოო სამმართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ვადაზე ადრე შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფისა და სახელმწიფოსათვის მიყიდველ წლიური გეგმა. 9 სექტემბრისათვის სამმართველომ შეასრულა წლიური გეგმა და იკისრა ვალდებულება გეგმის გადაჭარბებით მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩაბარონ 4.500 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

კარგი მუშაობით სამმართველოს კოლმეურნეობებს შორის სახელი გაითქვა ჭკადუაშელებმა სამმართველოა კოლმეურნეობებს შორის პირველად უბატაკეს სამშობლოს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმის შესრულება. თავი ისახელეს ლიის კოლმეურნეობა „ფიბილისმა“, რუხის კოლმეურნეობა „საქართველომ“, ჯვარის გეგეჭკორის, ჯგალის რუსთაველის, კახათის მარქსის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებმა, ინგირისა და ფეიფის ჩაის საბჭოთა მეურნეობებმა.

მაგრამ ჩაის ფოთლის კრეფის უკანასკნელი ეტაპიდან შედეგებიდან ჩანს, რომ ზოგიერთი კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და მათი ხელმძღვანელები თვითკმაყოფილებას მიეცნენ. ახლა დასავლეთ საქართველოში ცხელი, ჩაის ვეგეტაციისათვის ხელსაყრელი ამინდი დგას. მაგრამ ამ ხელსაყრელ ამინდს ყველგან როდი იყენებენ. სამმართველოს მიერ წლიური გეგმის შესრულებით ზოგიერთი საზოგადოებრივი მეურნეობის ხელმძღვანელები თვითკმაყოფილების ტყვეობაში მოექცნენ, და საკრეფად უხვად შემოსული ჩაის არ კრეფენ.

ამის შედეგიც არის. ზუგდიდის რაიონში 43 კოლმეურნეობიდან წლიური გეგმა 26 სექტემბრისათვის შესრულებული არ ჰქონდა 20 კოლმეურნეობას, ხოლო 10 საბჭოთა მეურნეობიდან — 5 მეურნეობას. აღსანიშნავია, რომ ეგრეთწოდებული დაბალი ზონის კოლმეურნეობები და მეურნეობები თავს ნაკლებად იწუხებენ ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმის შესრულებისათვის. სწორედ ესენი არიან, უკან რომ სწევენ სამმართველოსა და რაიონის საერთო მაჩვენებლებს.

ცაიში მთა-გორაკებზე შეფენილი ლამაზი სოფელია. ბუნებას აქ უზეად გადაუხსნია გული. რა არ ხარობს ამ დალოცვილ მიწაზე — ჩაი, დაფნა, ციტრუსები, სიმინდი, ალეი კარგ სოფელს ვესტუმრეთ, როცა სამმართველოში გავიგეთ, რომ ცაიშელებმა წლიური გეგმა მხოლოდ 92,2 პროცენტით ჰქონდათ შესრულებული.

— რამდენი ტონა ჩაის ფოთოლი მოკრეფეთ გუშინ? — შევეკითხეთ კოლმეურნეობის ეკონომისტს ა. გოგიას, გოგია სახტად დარჩა, რატომღაც ეუცხოვა ასეთი შეკითხვა.

როცა ვერც 22, 23, 24 სექტემბრის ჩაის ფოთლის კრეფის მაჩვენებლები ვერ გვითხრა, მაშინ კოლმეურნეობის მთავარი ბუღალტერი მოვიკითხეთ. სამწუხაროდ, საქმის კურსში არც ბუხჰალტერი თ. ჯიქია აღმოჩდა.

აგრონომ არჩილ კეკიასთან ერთად დავათვალიერეთ ჩაის პლანტაციები. პირველად მივედით ცაცხვის უბანში. ერთ ნაკვეთზე ვეჩრა — „ცაიის საშუალო სკოლის საწარმოო ნაკვეთი. ჩაის ნაკვეთი 1,5 ჰექტარი“.

მოუვლელმა, გაუხეშებულმა ჩაის ფოთოლმა გული დაგვიწყვიტა.

ცაიშის ი. მეურნარიას სახელობის კოლმეურნეობას ჩაის ფოთლის კრეფის არც თუ ისე დიდი გეგმა აქვს, რომ არაფერი ვთქვათ ვალდებულებაზე. 390 ტონა ჩაის ფოთლის მოკრეფა ამ სოფლისათვის დიდი არ არის. მუშახელიც საკმაოა, მაგრამ კოლმეურნეობის გამგეობა (თავმჯდომარე ლ. ქირია) ვერ რაზმავს კოლმეურნეებს ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის დროულად შესრულებისათვის.

დილაადრიან ვესტუმრეთ ონარიის ჩაის საბჭოთა მეურნეობას (დირექტორი ვ. გაბელია). ჩაის პლანტაციებში აკა-იქ იდგნენ მუშები და უხვად შემოსულ ფოთოლს კრეფდნენ. უნდა აღვნიშნოთ, რომ ონარიელები 2 წელს ფლობდნენ რაიონის გარდამავალ დროშას. წელს კი ჩამორჩენილთა რიგებში არიან. მართალია, ონარიელ მეჩაიეთა ჩამორჩენა პირველ რიგში ჩაისათვის არახელსაყრელმა ამინდებმა განაპირობა, მაგრამ ახლა, როცა ჩაი არის, რატომ კრეფენ ასე ცოტა ფოთოლს?

აი რა გვიპასუხა ამაზე მეურნეობის დირექტორმა ამხ. ვ. გაბელიამ:

— მუშახელი რომ საკმარისი გვყავდეს, ყოველდღიურად 5 ტონაზე მეტ ფოთოლს მოვკრეფდით. ახლა ყოველდღიურად 1.500-2.000 კილოგრამზე მეტს ვერა ვკრეფთ ზაფხულში, როცა ჩაი საკრეფად არ იყო, ჩვენთან 700-800-მდე კაცი მუშაობდა. მათთვის ყოველგვარი პირობები გვაქვს შექმნილი, მაგრამ ახლა ისინი წავიდნენ. სამმართველომ დიდნინძის, ორულუს, ჭითაწყაროს კოლმეურნეობებიდან 30-30 კაცი დაგვახმარა, მაგრამ...

სიტყვის გაგრძელება უჭირდა დირექტორს, უკვე 10 საათზე დავტოვეთ პლანტაციები და დამხმარე მუშახელი არსად ჩანდა.

მეჩაიეების დიდი დამხმარე ძალაა ჩაის საკრეფი მ

პარტიული ცხოვრება

პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე

სოფელი დიდ გზაზე

წლებმა თავისი გაიტანეს, დავბერდი, მაგრამ როცა პარტიულ კრებაზე მივიბიჯებ, ყოველთვის რაღაც სიხალისეს ვგრძნობ. ასე იყო ამ დღესაც, როცა ჩვენი კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება იყო დანიშნული. მოგდიოდი სოფლის ქუჩებში და ფიქრობდი იმაზე, თუ რა ცვლილებები მოხდა ქვეყანაზე, როგორ ლამაზდება და მშვენიერდება ჩვენი მუხრანი, როგორ მრავლდება საზოგადოებრივი დოვლათი.

ყმაწვილქალობიდან რეგოლუციურ საქმიანობაში ვიყავი ჩაბმული, ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაეცა 1917 წელს ჩემი მეუღლე ვანო ლოცულოვი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც არ ვიყავით გულზედადაკრეფილი, ყველაფერს ვაკეთებდით საერთო საქმისათვის, მტრებთან ბრძოლებში ბევრი ვაკეკცურად დაეცა, მე მხოლოდ შემთხვევით დავრჩი ცოცხალი, კოლექტივიზაციის დროს კულაკებმა ვენახში დამიჭირეს და დანით დამკრეს, მაგრამ, მათი ბოროტი სისინის მიუხედავად, არჩეული გზიდან არ გადამიხვევია. როცა ყველაფერ ამაზე ფიქრობ, გული სიამაყით მევსება. ჩვენი ხალხის ყველა წარმატებას ხომ სათავეში უდგას ჩვენი პარტია, პირველადი პარტიული ორგანიზაციები; კომუნისტები ცეცხლის მოწინავე ხაზზე დგანან.

ავიღოთ ჩვენი კოლმეურნეობა. სამოოთხი წლის წინათ იგი სამარცხვინოდ ჩამორჩებოდა, რაიონში ყოველთვის ჩვენ ვიყავით სალანძღავი. ბევრი კოლმეურნე ღალატობდა საერთო-სამამო საქმეს, ლაფში სვრიდა მინდვრის მუშაკის ღირსებას. მაგრამ პარტიული ორგანიზაციის მეცადინეობითა და კომუნისტების მხარდაჭერით მდგომარეობა გამოსწორდა. ახლა ჩვენს სოფელს აუბედ ვერავინ ახსენებს.

...ფიქრებმა შორს გამიტაცეს. ამასობაში კოლმეურნეობის კანტორაში მივედი. ახალგაზრდებმა ადგილი დამიჭიმეს. დარბაზში სიგიწოოვე იყო. ხუმრობა ხომ არ არის, ახლა ჩვენს პარტიულ ორგანიზაციაში ასთვრამეტი კაცია. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. ავანესვილმა თითქოს ბოდიშის მოხდით თქვა:

— ამხანაგებო. ამ ოთახში უკანასკნელად ვატარებთ კრებას, მალე მზად იქნება კოლმეურნეობის ახალი კანტორა და კლუბი.

დაიწყო კრება. პარტიბიროს მდივანმა ვ. ჯანჯუღაზოვმა, რომელიც მემიდგრეობის ბრიგადის ხელმძღვანელია, თავის საანგარიშო მოხსენებაში ბევრი ილაპარაკა იმ წარმატებებზე, რის მოპოვებაში დიდი როლი შეახრულეს კომუნისტებმა, მან აღნიშნა, რომ პარტიული მუშაობა თვითმბრალი კი არ არის, არამედ ქმედითი საშუალებაა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ახალ-ახალ გამარჯვებათა მისაღწევად. სახიბარულოა, რომ შარშანდელთან შედარებით კოლმეურნეობის ფულები შემოსავალი იზრდება ორჯერ და ოთხას ათას მანეთს მიაღწევს, მნიშვნელოვნად მატულობს შრომადღის ღირებულებაც. ჩვენ პარნთლად შეგასრულებთ ყველა ვალდებულებას სახელმწიფოს წინაშე. საუკეთესოდ იშრომეს ჩვენმა მესიმინდეებმა. მათი უმრავლესობა პირობას იძლევა ჰექტარზე საშუალოდ მიიღოს 60 ცენტნერი. მალე შეგიდგებით „მინდვრის დედოფლის“ ალებას. წარმატებები აქვთ ბოლოტნეებს, მეკვეთნეებს, მებაღეებს, მეკანიზატორებს, მეცხოველეებს.

წარმოების გადაშენებულ უბნებს უნარინად ხელმძღვანელობენ ჩვენი ორგანიზაციის წევრები. უკანასკნელ ხანს დიდად გაიზარდა მათი ავანგარდული როლი ისინი შემოკმედებითი შრომის ტონს აძლევენ ყველას. მომხსენებელმა სიამაყით ჩამოთვალა კომუნისტები, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო წარმოების სულსა და გულს წარმოადგენენ. ანეტა მიქელაძე არც თუ ისე ახალგაზრდაა, მაგრამ შრომაში ბევრ არავის, თვით მამაკაცებსაც არ ჩამოუვარდება. წელს მან ჰექტარზე 18 ტონა ხახვი მიიღო. კრების მონაწილეებმა ყურადღებით მოგვისმინეთ ანეტას სიტყვა. მან თქვა, რომ კომუნისტი ვალდებულია ფიქრობდეს არა მარტო თავის თავზე, არამედ ყველაზე. მისთვის ძვირფასი უნდა იყოს დანარჩენი ამხანაგების, პარტიულებისა და უპარტიოების, ღირსება და პატივი, იგი ყოველთვის სიმართლით და ობიექტურად უნდა აფასებდეს თვითეულის მოკმედებას, არ იკიწყებდეს კომუნისტის მშენებლის მორალური კოდექსის სიტყვებს: „ადამიანი ადამიანისათვის მეგობარი, ამხანაგი და ძმაა“, შემთხვევითი არ არის, რომ ამ ქალს უნარი შესწევს გაიყოლოს ამხანაგები, იპოვნოს ყველას გულის გასაღები.

სამეურნეო წარმატებები, რომლებიც პარტიულ-ორგანიზაციორული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შედეგად არის მოპოვებული, შეიძლება გამოგვიტანო ციფრებში, ტონებში, მანეთებში. ბაგრამ ძნელია რაიმე ფასი დაადო წარმატებას ადამიანთა აღზრდაში. მე მგონია, ეს ყველაზე ძვირფასი წარმატებაა, რომელიც ოქრითი არ შეფასდება. როცა კრების მსვლელობას ვაკვირდებოდი, ვგრძნობდი, როგორ გაიზარდნენ ჩვენი ადამიანები უკანასკნელ წლებში, როგორ გამოიბრძმედნენ ახლისათვის ბრძოლაში.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ბრიგადრმა გ. ბერინაშვილმა, მექანიზატორმა ს. ბიკოშვილმა, ბრიგადის ხელმძღვანელმა ვ. ვარძიგულოვმა, ფერმის გამგემ შ. მერაბიშვილმა, კოლმეურნეობის წევრმა ჯ. ნიბლიაშვილმა და სხვებმა ლაპარაკეს წარმოებაში კომუნისტების ავანგარდულ როლზე, ჩამოთვალეს ნაკლოვანებანი, გააკრიტიკეს პარტბიუროს საქმიანობის ზოგიერთი მხარე, ხაზი გაუსვეს იმას, რომ პარტიულ მოღვაწეობაში მთავარია შეუნელებელი ზრუნვა ადამიანებზე, ამ მხრივ ჩვენთან ჯერ კიდევ ბევრი რამეა გასაკეთებელი. ახალგაზრდა დედების დიდ ნაწილს არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საკოლმეურნეო შრომაში, რადგან გასხნილი არ არის საბავშვო ბაღები, მეცხოველეობის ფერმის მუშაკებს შრომისა და დასვენების კარგი პირობები არა აქვთ.

ჩემი აზრით, კრებაზე საჭირო იყო უფრო გაბედული კრიტიკა და თვითკრიტიკა. მომხსენებელი და მოკამათენი მოერიდნენ იმათ კრიტიკას, ვინც არ უფროხილდება კომუნისტის მაღალ წოდებას, არ ასრულებს პარტიის წევრის საწესდებო მოვალეობას, ასეთები კი ჩვენთან კიდევ არიან. ამათ გარდა, სოფელში გვყავანან ადამიანები, რომლებიც არც ცისა არიან და არც მიწისა, ღალატობენ ხალხთან ხაქმეს. საწყენი იყო, მათ შესახებ მკაცრად რომ არავინ ლაპარაკობდა.

ისევ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შ. ავანესვილს დასჭირდა ხაუკეთური თქვა ამხანაგებისათვის, რომლებიც „აწუწუნებენ ბოლიტიკას“ ეწევიან. ჩვენ თუ ერთმანეთი არ გავკიტიკეთ, მაშ ვინღა გაგვაკრიტიკებს? ბანა ჩვენი საქმიანობის სისუსტეს არ მოწმობს, კოლმეურნეობის ორმოცდაშვიდმა წევრმა შრომის საკალდებულო მინიმუმი რომ ვერ გამოიმუშავეს? — თქვა თავმჯდომარემ, — ჩვენთან სამარცხვინოდ, არიან კომუნისტები, რომლებიც არა მარტო თვითონ, არამედ თავიანთი ოჯახის წევრებსაც არ ამუშავებენ... ამ სიტყვებზე დარბაზი გამოცოცხლდა, გაისმა შეძახილი: — ბეგარი დასახელეთ, ბეგარი!.. ავანესვილმა გაჯავრებით თქვა: — კომუნისტი მარიამ ოკინოვას ოჯახიდან არავინ მუშაობს კოლმეურნეობაში, ზოგიერთებს უნდა დაემუშავებიათ პაპიროსი, ერთ-ორ თოდუას, რუბენ აბრამიშვილის, თეიფერ კაპანაძის ბრიგადებს უკვე დაუმთავრებიათ მეცხოველეობის ფერმების კედლების მშენებლობა და ახლა გადახურვაზე ზრუნავენ. ნესტორ ამრახაძის ბრიგადის მიერ აშენებულ საცხოვრებელ ბინებში დიდი ხანია ყამირის მკვდრეთება ახალმოსახლეობა იზიმეს და მარჯვენა დაულოცეს მშენებლებს — ქართველ სტუდენტებს.

არანაკლებ საყურადღებოა ამანგელდიდან 20 კილომეტრის მანძილზე კალინოვკაში მცხოვრებ სტუდენტთა საქმიანობა. მზარეული გიორგი ირემაძე ძლივს ასწრებს საუზმის გაცემას. დაბაყრდებიან გემრიელი საჭმელით და ორმოცამდე კაცი ქართული სიმღერებით, ჯგუფ-ჯგუფად მიდის სამუშაო ობიექტებისაკენ. ჯგუფს ბირველად გიზო დარასელიას ბრიგადა ჩაჰყობოდა და თავის სამუშაო უბანს მიაშურებს. გიზო და მისი ამხანაგები საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე მუშაობენ და მაღე საექსპლოატაციოდ გადასცემენ აგურის შენობას.

ცოტა მოცილებით კი გიორგი ციბაძის და ვლადიმერ კურდიუკოვის ბრიგადები ჩერდებიან. იქვე გვერდით ჯემაღ სამწყობიშვილის ბრიგადის წევრები მუშაობენ.

ეს ბიჭები ქიმიკოსები არიან, მაგრამ ბევრ მშენებელს შეეხმიბება მათი ნამუშევრის ხარისხი, აგურის წყობა და ხსნარის შემზადება.

გულგასხნილი ყამირი

2. ქართველებს აქეგენ ყაზახეთის ველეგში

მაგრამ, რომ იტყვიან, ბედმა უმტყუნათ. იმ ღამეს, ყაზარმული სტილით ნაგებ შენობაში სიხალელი რომ ჩაქრა, ზოგს უკვე ტახტზედ ეძინა, სხვები საქართველოში იყვნენ ოცნებით. უცებ თითქოს და ცა ჩამოინგრაო, საშინლად იქექა. კოკისპირული წვიმა წამოვიდა.

— ამას ჰქვია, სწორედ, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, — ძლივს თქვა ვრაგაშვილმა ბაღრი ჩხაიძემ.

მეორე დღეს სეფდიანი დილა გათენდა. წვიმდა. გრძელ დერეფანში გამოსულიყვნენ შემფოთებული მშენებლები: რობერტ თოლორდავა, ზურაბ ტომაშვილი, ბესარიონ ფეთიშვილი, ზურაბ ტაგაიშვილი, ალრო ჯობავა და სხვა ბრიგადის სხვა წევრები. საუბრის შედეგ ყველა საამქროსკენ გაიშურა, მაგრამ ფეხი წასვლა შეუძლებელი გახდა... ტრაქტორი მოიხმარეს...

ახლა კი უფრო ნათლად იგრძნეს ბიჭებმა ყამირი მიწების სიმკაცრე და სიჯიუტე. თითქოს დედამიწამ პირი გაახსნა, ტრაქტორი მუხლუხამდე ეფლობოდა მიწაში. მოსახმარებლად მოვიდა მეორე ტრაქტორი, მესამეც წამოვიდეთ, მაგრამ მაინც ვერ გატეხეს ყამირი მიწის სიჯიუტე. სამივე ტრაქტორი დაბიანდა.

ბიჭებს გული მაინც არ გაუტყდათ. ვალდებულების შესრულების სურვილმა უფრო გაუკაჟათ და განუმტკიცათ ახალგაზრდული ხასიათი. დილიდან დაღამებამდე დასველებულნი, ტალახში ამოსვრილნი, სამარკველში თავიანთ უკანასკნელ ძალას და ენერგიას ადუღებდნენ: ვერ ასწრებდნენ ედროებით წყლის ამოღვრას, რომ საძირკველი კვლავ ივსებოდა.

ბოლოს, როცა რაზმის ინჟინერმა ოთარ ზაუტაშვილმა განუცხადათ, კომისიის დადგენილებით ამ სამუშაოს თავი აოცებს შაიკოს. მას ერთხელ ახალგაზრდებთან საუბარში უთქვამს:

— თქვენ ჩვენი მეურნეობისათვის სამეცნიერო ძალა ხართ, ეს ამ ადამიანებმა ვიცოდეთ. შარშან ყანაგან ცხვარი გაგვინახეცრა. წელს კი თქვენ მიერ ამეებებულ ბინებში ათასობით ცხვარი გამოიზამთრებს და ალბათ ერთიც არ მოაკლდება ფარას.

შემდეგ ლაპარაკი სარაგულის მეურნეობაზე ჩამოვიდგა და ნაღვლიანად უთქვამს, ჩქარი ბ-ბეები ცოტა არ იყოს დაინაგრნეთო.

სარაგული ტარანგულის მეორე განყოფილებაა. აქ ნუგზარ თეკდორაძის ბრიგადა მუშაობს.

ნუგზარის ბრიგადისათვის „მეცხოველეობის ფერმის აშენება მიუნდეთიან. ბიჭებს კარგი ტემპით დაეწყოთ შრომა, თითქმის მთლიანად მოიმარაგებიათ ქვა, აგური, ქიმია და სხვა საშენი მასალები. ფიცი დაუდეთათ, რომ დაძლევდნენ ყოველგვარ სიძნელეს და პირველ ადგილს დაიკავებდნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში საქართველოდან წარგზავნილ ყამირულ სტუდენტთა შორის.

ბიჭებმა ერთ-ერთ ადგილზე ბოლშევიკების სახელოვანი ტრადიციები, როგორ მძლავრად იდგამს ფესვებს ახალი, რომელსაც თვითონ ცხოვრება წარმოშობს. მიგდოდი და რატომღაც მეჩვენებოდა, რომ იმ ღამეს ვარსკვლავები უფრო მძლავრად, უფრო მხიარულად ანათებდნენ.

ნინო ტატიშვილი-ლოცულოვა,

სოფელ მუხრანის (ცხენის რაინონი) კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის წევრი.

მეგობრები უგზიარებენ გამოცდილებას

ამიერკავკასიის მშენებელთა სემინარი

თბილისში მუშაობა დაამთავრა ამიერკავკასიის მშენებელთა სემინარმა მშენებლობის ეკონომიკის საკითხებზე. სემინარი მოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიურომ.

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს სსრ კავშირის სახმშენის „ჰიდრომშენენდუსტრიის“ ინსტიტუტის განყოფილების გამგის მ. ს. რაპოპორტის მოხსენება თემაზე „მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განლაგება ამიერკავკასიაში საწარმოთა სოციალიზაციისა და კოოპერირების გათვალისწინებით“.

შემდეგ მთავარმოსკოვმშენის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველოს უფროსმა ი. ზ. სპოლანსკიმ სემინარის მონაწილეებს გაუზიარა გამოცდილება იმის შესახებ, თუ როგორ ინერგება მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციის მოწინავე მეთოდები ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უმსხვილეს სამშენებლო ორგანიზაციაში — მთავარმოსკოვმშენში.

მოხსენებათა გამო გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილემ მ. ს. ზუდელავამ, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სექტორის გამგემ ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ბ. ი. ბბიზარიანმა, აზერბაიჯანის სსრ მშენებლობის სამინისტროს ეკონომიურ საკითხთა № 1 ტრესტის მმართველის მოადგილემ ნ. ნ. ალიზადემ, სომხეთის სსრ მშენებლობის სამინისტროს საგეგმო-საფინანსო განყოფილების უფროსმა ბ. ს. ჩიბარინიანმა, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს განყოფილების გამგემ ტ. ი. ანმაძემ, აზერბაიჯანის სსრ მშენებლობის სამინისტროს მთავარმაქმშენის მთავარმა ბუღალტერმა ს. ა. რაბინოვიჩმა, საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარის მოადგილემ ი. პ. ჟვანიასელავამ, აზერბაიჯანის სსრ მშენებლობის სამინისტროს „ორგანტექმშენის“ ტრესტის მმართველმა ბ. მ. მარდანოვმა, სომხეთის სსრ სახმშენის თავმჯდომარის მოადგილემ ლ. ა. ჯანაკიშანმა და საქართველოს სსრ სამშენებლო ბანკის მმართველის მოადგილემ ა. ბ. შირაცხლავამ. დასასრულ სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიურის მუშაკმა რ. მ. აბდულაევმა.

თათბირმა მიიღო რეკომენდაციები მშენებლობის ეკონომიკის საკითხებზე, რომლებშიც გათვალისწინებულია ორნისძიებანი დაგეგმვის გაუმჯობესებისთვის, მშენებლობაზე ეკონომიური მუშაობის გაფართოებისათვის, ახალი ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვისათვის, აგრეთვე ორნისძიებანი მშენებლობის მართვის გაუმჯობესების დარგში და მთელ რიგ სხვა საკითხებზე.

დაწვრილებითი ანგარიში სემინარის მუშაობის შესახებ გამოქვეყნდება. (საქდესი).

სოფელი ბრძოლებში

ბოლოს ბრძოლა

ბ. ბ. ბ.

უკვდავი საქმის დიდი მატიანე

ტუნისი. (საკ‌ლესი). სათაურით „საბჭოთა კომპარტიის ისტორია ექვსტომად“ ტუნისის გაზეთმა „პრესმა“ დაბეჭდა ციტატები მრავალტომიანი ნაშრომის „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია“ წინასიტყვაობიდან, რომელიც 21 სექტემბერს გამოქვეყნდა „პრავდაში“.

ბეჭდავს რა ციტატებს წინასიტყვაობიდან, გაზეთი ხაზს უსვამს, რომ „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია“ ბევრი საბჭოთა მეცნიერის კოლექტიური შრომის შედეგია და რომ ამ შრომის პირველი ტომი ამ დღეებში გამოვა.

გაზეთს მოჰყავს წინასიტყვაობის ის ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ „ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა, რასაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის მეცნიერულად შემუშავებას ვუყენებთ, ის არის, რომ ღრმად გამოვავლინოთ მშრომელი მასების და უწინარეს ყოვლისა მუშათა კლასის — კაცობრიობის პროგრესული განვითარების მამოძრავებელი ძალის შემოქმედება“.

მოითხოვენ მთავრობის გადადგომას

რომი, 26 სექტემბერი. (საკ‌ლესი). „მთავრობის გადადგომა აუცილებელია“, — ნათქვამია იტალიის კომუნისტური პარტიის სამდივნოს განცხადებაში, რომელიც დღეს გამოაქვეყნა გაზეთმა „უნიტამ“. შეჯამა რა სენატში გამართული ამასწინანდელი კენჭისყრის შედეგები, იტალიის კომუნისტური პარტიის სამდივნო ხაზს უსვამს: ეს, რომ სენატმა უარყო მთავრობის დეკრეტი ზოგიერთი გადასახადის გადიდების შესახებ, ნიშნავს მთავრობის ეკონომიური პოლიტიკის „ამარა დაგმობას“. იტალიის კომუნისტური პარტიის სამდივნოს შეუწყნარებლად მიაჩნია, რომ მთავრობამ, რომელიც ცდილობს ხელისუფლების სათავეში დარჩეს და უგულებელყოფს სენატის აზრს, კვლავ სცადოს პარლამენტში ხუთა სახით გაიყვანოს უკვე უარყოფილი ღონისძიებანი. სენატის კენჭისყრის შედეგები გვიჩვენებენ, რომ საჭიროა ძირეულად შეიცვალოს მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა, ისე შეიცვალოს, რომ შეესაბამებოდეს ხალხის მასების ნებას, ნათქვამია განცხადებაში.

ბრძოლები კონგოში

პარიზი, 28 სექტემბერი. (საკ‌ლესი). კონგოელი პატრიოტები წარმატებით იგერიებენ მთავრობის ჯარების გაფთრებულ იერიშებს ქალაქ ბოენდეს რაიონში — ჩრდილოეთ კონგოში. უკუგდებულ იქნა იერიში, რომელიც ჩომბეს დაქირავებულ თეთრკანიანთა რაზმმა განახორციელა სს-ის ყოფილი ოფიცრის მიულერის მეთაურობით, რომელიც „რეინის ჯვრით“ არის დაჯილდოებული ჰიტლერული გერმანიის წინაშე „დამსახურებისათვის“.

ქალაქის მეტი ნაწილი, როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ლეოპოლდვილიდან იუწყება, კვლავ აჯანყებულთა ხელშია.

საპასუხო ღონისძიება

პარიზი, 26 სექტემბერი. (საკ‌ლესი). გუშინ ნიგერიის პროფკავშირთა კონგრესის ხელმძღვანელმა მოლაწმან ს. ბაყეომ მოითხოვა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის განსახლება ნიგერიიდან.

როგორც ფრანს პრესის საagენტოს კორესპონდენტი ლაგოსიდან იუწყება, ეს მოთხოვნა იყო რეაგირება იმაზე, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ უარი თქვა აწარმოოს მოლაპარაკება აფრიკის ხუთი დამოუკიდებელი კვეყნის წარმომადგენელთა დელეგაციასთან კონგოსათვის ამერიკის შეიარაღების მიწოდების შეწყვეტის შესახებ.

როგორც ცნობილია, ეს დელეგაციაა ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩავიდა აფრიკის კვეყნების ერთობის ორგანიზაციის კონგოს ეროვნული შერიგების სპეციალური კომისიის გადწყვეტილებით.

ბოლოდროინდელი ამბავი

ნ. ოსტროვსკის დაგადეგის 60 წლისთავი

ცოცხალი კორჩაგინი

რევოლუციამ და 1918 წელს გაჩაღებულმა სამოქალაქო ომმა რუსეთის ყოფილი იმპერიის მთელი სასიცოცხლო სივრცე მოიცვა. რევოლუცია, როგორც ძალადური სიხალსის სხივი ბნელ ღამეში, ყველგან შეიჭრა და ყოველი კენჭული განათა, შეიჭრა ოჯახში, თვით ადამიანის ფსიქიკაში და ძველი შეხედულებები, მისწრაფებები თავდაყირა დააყენა.

რუსეთის ისტორიის ამ მშფოთვარე ხანას მიუძღვნა თავისი საყოველთაოდ განთქმული რომანი **„როგორ იწრთობოდა ფოლადი“** ძველმა კოქაკვშირელმა, რევოლუციის ქურაში გამოწრთობილმა **ნიკოლოზ ოსტროვსკიმ.**

ძველი სამყაროს ნგრევამ და ახალი სამყაროს შენებამ მას სულ ახალგაზრდას მოუსწრო და ცაბუტი-თოთხმეტი წლის პირტიტველი ბიჭუკი თავდაყრუწყებით გადაშენა დიდი ისტორიული კატაკლიზმების ოროპტრიალში.

ნიკოლოზ ოსტროვსკის უსიხარულო ბავშვობამ ვაგზლის ბუფეტის სამრეცხაოში, მაზუთით მოზუზხულ ელექტროსადგურში და სინესტეთა და უსუფთაოობით აშმორებულ სარდაფებში განვლო. ამ მგრძნობიარე ყმაწვილმა მთელი არსებით განიცადა ის არაადამიანური დამცირება, უუფლებობა და აბუჩად აგდება, რომაც ცხრასაჩვიდმეტის დაუვიწყარ დღეებში მილიონები აამხედრა და გამარჯვების მოსაპოვებლად ხელი იარაღი აალებინა.

მოუსვენარი, გამხდარი ბიჭი, ოსტროვსკი, ჯერაც ბავშვი და, რომ იტყვიან, პირზე რძეშეუშშრალი, თავგანწირვით იბრძოდა საბოქალაქო ომის ფრონტებზე. ის რევოლუციის რიგითი ჯარისკაცი იყო და ლენინის დიდი დროშის ქვეშ დგა.

ჭაბუკი წითელარმიელის სათაყვანო გმირები მაშინაც და შემდეგაც საბრძოლოს განთავისუფლებისათვის მებრძოლი ჯუხეტე გარიბალდი, სპარტაკი და ვოინინის კრაზანა იყვნენ. მშობელი ხალხის დიდი მომავლის რწმენა, რწმენა, რომელიც, შეიძლება ითქვას, რელეგიური ფანატიზმის ძალისა და სიღრმისა იყო, ყოველთვის წინ უძღოდა ნიკოლოზ ოსტროვსკის და გზას უნათებდა მაშინაც, როდესაც ის, მძიმედ დაჭრილი, კვლავ თავის ადგილს იკავებდა იერიშზე, გადასულ მებრძოლთა შორის, და მაშინაც, როდესაც მშიერ-მწყურვალი და ჩაუცმელ-დაუხურავი, ათასობით მისებრ თავდადებულთან ერთად ვიწროლიანდაგიან რკინიგზას აშენებდა სიცივისაგან გათანგული კიევის გადასარჩენად.

„ისე მოკვდი, რომ სიკვდილთაც სარგებლობა მოიტანო... ეს ხომ შენი უკანასკნელი მობილიზაციაა. კაცურად მოკვდი...“ ფურმანოვის ეს სიტყვები ოსტროვსკიმ ცხოვრების დეკანოზად განიცადა და გადადუვალ სიკვდილსაც კი წარბშეუხრელი და მობოდიშებული შეხვდა, თუმცა სულის ამოსვლის წინ მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „სიცოცხლე მინდა, სიცოცხლე მჭირდება...“

ამ მოუღალავ მეომარს და მუდამ საგუშაგოზე მდგომ ჯარისკაცს მწერლობა რევოლუციური ბრძოლის უბნად და ნაწილად თიხრიდა. როდესაც უკვე ბრმასა და დავრდომილს თავისი რომანის პირველი ცალკე გამოცემა მიუტანეს, მწერალმა თითების შეხებით იცნო ყდაზე ამოტეიფრული ნიშანი და გაბარებელმა შესძახა:

— ეს ჩემი ხიშტია! ახლა მე ამ ხიშტით ვიბრძვი!

ბრძოლის წყურვილი ნიკოლოზ ოსტროვსკისათვის პატიოსანი ადამიანის განუყოფელი თვისება იყო. მას სიცოცხლე ვერც წარმოედგინა უბრძოლველად.

„ედადშენმა მითხრა, თურმე ჩხუბი გაუკარგია, — ეუბნება „როგორ იწრთობოდა ფოლადის“ მთავარ გმირს პავკა კორჩაგინს ამავე რომანის პერსონაჟი ეუბრაი, — ნამტანნი მოჩხუბარი მყოფსო, სულ მამალივით იკორტნებაო. ჩხუბი საერთოდ ტრაგი როდია, პავკა, ოღონდ უნდა იცოდე, ვისა სცემო და რის გამო უნდა სცემო“. ნიკოლოზ ოსტროვსკიმ, ისე, როგორც მისმა ლიტერატურულმა ორაულმა პავკა კორჩაგინმა, ჯარგად იცოდა, ხმალი ვის წინააღმდეგაც უნდა ეშოშვლებინა და ორმოცი წლის წინანდ ქარქაშიდან ამოწვდილი მისი ხმალი დღესაც მრისხანედ ბრწყინავს ყოველი ტირანისა და მობალადის თვალზე.

ვიდრე ღონე შესწევდა და ფეხზე იდგა, ნიკოლოზ ოსტროვსკი ყოველგვარ პრაქტიკულ სამუშაოს ასრულებდა. ის არ არჩევდა დიდსა და მცირე საქმეს. მისთვის მიხდობილი ყოველი საქმე დიდი საქმე იყო.

ხელჩართულ ბრძოლებში ნაკაფსა და ნაჩეხს ბოლოს ჯანმა უმტყუნა. ფრონტზე გაყვანაზე უკვე უარი უთხრეს. მაშინ საგანგებო კომისიაში ამოჰყო თავი. სულ ბოლოს კოქაკვშირელი სამუშაო მიანდეს. დღე-ღამეში ოც საათს მუშაობდა. წათვლემას, პირში ლუკმის ჩადების დრო არ იყო. დღისით აგურსა და ქვას ეზიდებოდა მშენებლობაზე, ღამით, როცა სხვებს ეძინა, უბელო ცხენზე გადამჯდარი და ტყვიებისაგან მოკურნეხნილი ბანდიტებს დასდევდა და ბრმა ტყვიების წვიმაში მისი სიცოცხლე განუწყვეტლივ ბეწვზე ეკიდა.

მერე ეს ამბები დიდი მოთმინებითა და გონებამახვილობით აღწერა თავის დოკუმენტურ რომანში და სულ მიშობდა, ვითუ ძალიან ვიწროდ მოკუეი და მკითხველს მარტო ჩემი პატარა თავგადასავალი ეუამბეო.

მართლაც, ბავკა კორჩაგინის ცხოვრება და ყოველიე ის, რაც „როგორ იწრთობოდა ფოლადშია“ აღწერილი, თვით ავტორის — ნიკოლოზ ოსტროვსკის ცხოვრება და მის გარშემო დატრიალებული ეპოქალური ამბები. მაგრამ ცხოვრებაც არის და ცხოვრებაც. ზოგი კაცის ცხოვრება საოჯახო ალბომის გაყვითლებულ ფოტოლენტს ვერ სცილდება, მაგრამ ხომ ბევრ ადამიანებიც, რომელთა ბიოგრაფიაც მთელი თაობის ბიოგრაფიაა და ამ ბიოგრაფიაში ისე გამქვირვალედ და სასხლსავსედ მოჩანს მთელი ისტორიული ეპოქა, როგორც თვალწუდველი ოკეანე ერთ წვეთ წყალში.

ნამდვილად მოამდარ ამბებზე აგებული ბელეტრისტული თუ პოეტური ქმნილებები ზოგიერთ ლიტერატურს ხარკეეი ჰგონია. ერთხანს ასე შეხედეს ოსტროვსკის რომანსაც. ამ აზრზე მდგომნი იმას კი ალარ უწუვდნენ ახგარშს, რომ თვით „ნამდვილი ამბავი“, რომელიც ნაწარმოებს საფუძველად დაედო, თავისთავად შეიცავს დიდ განზოგადებას და, უკეთუ ოსტატის ხელით შესრულდა, იგი არამცდაარამც ემპირიული მასალით არ შეიხლუდება. ამნაირი ხასიათის ნაწარმოებები ხშირად უფრო მეტ ზნეობრივ ზემოქმედებას ახდენენ მკითხველზე, ვიდრე ე. წ. „შეთხზულნი“.

სამწუხაროდ თუ სასიხარულოდ, ნიკოლოზ ოსტროვსკიმ მწერლობას მხოლოდ მაშინ მიაყო ხელი, როდესაც უკვე უკურნებელი სენით იყო შეპყრობილი და სარეცელზე მიჯაჭვულს სხვა საქმის გაკეთება აღარ შეეძლო. მაგრამ ის ჯერ ისევ ცოცხალი იყო და ფიზიკურად სულიერი ენერგიით აღსავსე.

ჯოჯოხეთური ტკივილებით გაწამებული ოსტროვსკი ღამეებს თეთრად ათენებდა. ერთხელ იხუმრა კიდეც — ღამით თავისუფლად შემიძლია ვიმუშაო, რადგან სულ არ მძინავსო.

ამხანად ყველა სხვა უბედურებას ისიც ზედ დაერთო, რომ ავადმყოფმა მოლიანად დაკარგა თვალის სინათელე. თვალის სინათლე კი როგორ გაუზომლად სჭირდება მწერალს! „ახრს ვერასოდეს ისე ცხადად ვერ გამოთქვამ, თუ შენი ხელით არ წერ, — ამბობდა თვითონ ოსტროვსკი, — არის ახრი, ამბავი, რომლის ქაღალდზე გადატანა მხოლოდ შენს ხელს შეუძლია“.

მან მაინც შეძლო გაუკეთებელის გაკეთება — დაწერა წიგნი, რომელიც გიმყრობს არა მარტო მოთხრობილი ამბების მსაზტაბურობითა და სიღრმით, არამედ წიგნის ცალკეული მონაკვეთების პოეტურობითა და მაღალ-ოსტატური შესრულებით.

მანამდე, ვიდრე ლოგინად ჩავარდებოდა, ათასნაირ პრაქტიკულ საქმიანობაში გაბლართულ ოსტროვსკის როდი ეცალა მსოფლიო ლიტერატურისა და საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული გამომსახველობითი ფორმების შესასწავლად, მას, როდი ჰქონდა ლიტერატურული ვარჯიშისა და დიდი სამწერლო მოღვაწეობისათვის მზადების დრო. კარზე სიკვდილი იყო მომდგარი და ნაადრევად ეკაკუნებდა.

„როგორ იწრთობოდა ფოლადის“ წერა ოსტროვსკიმ 1930 წელს დაიწყო. წიგნი იწერებოდა მოსკოვში, ყოფილი „მკვდარი შესახვევის“ ერთ მყუდრო სახლში. წერდნენ მწერლის მოხალისე მდივნები. მაღალ სასთუმალზე თავმინდობილი სიცხიანი ოსტროვსკი კარნახობდა და ძმიმე სნეულებით ლოგინზე სამუდამოდ მიკოკული ესინათლო ეკაკცი დამბმულ ლომსა ჰგავდა.

წიგნი ეურნალ „მოლოდაია გვარდიაში“ გამოქვეყნებისთანავე დაიტაცეს მკითხველებმა. იქვე იყო დაბეჭდილი ბეზმენსკისა და გუსევის ლექსები, მათე ზალკას და ვილი ბრედელის პროზა, პარიზელი კომუნარის გუსტავ ინარის მოგონებები და ფადეევისა და ლუნაჩარსკის სტატიები...

მომდევნო ოთხ წელიწადში „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ სამოცდაორჯერ გამოიცა და წიგნის საერთო ტირაჟმა ორ მილიონს მიაღწია.

ეს მწერლის ცხოვრიო აღიარება იყო. ოსტროვსკი თავისი შრომის ჯილდოს მოესწრო და ოცდათორმეტ მოკლე წელიწადში გაკეთილი დიდი სიცოცხლე ბედნიერმა და გამარჯვებულმა დასასრულა. ის წამებით მოკვდა იმ დღეს, როდესაც წიგნის ბაზარზე ჩამოსასვლელად სტამბიდან გამოქვნდათ მწერლის მეორე რომანის „ქარიშხლით შობილნის“ პირველი ტომი...

აღსრულდა მწერლის წინასწარმეტყველური სიტყვები: „ყველაზე დიდი მშვენიერება ადამიანისათვის ის არის, რომ ყოველივე იმით, რაც შენ შეგიქმნია, ადამიანებს მაშინაც ემსახურო, როცა ცოცხალი აღარ იქნებიო“.

ნიკოლოზ ოსტროვსკის გმირული ეპოპეა — „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ მსოფლიო კულტურის საგანძურში შევიდა. დღეს მას ოდადმიწის ორივე ნახევარსფეროში ერთნაირი გატაცებით კითხულობენ და მოკრძალებით და თაყვანისცემით აღიკვლიან რევოლუციის ქედმოუდრეკელი რაინდის — ნიკოლოზ ოსტროვსკის და მისი ლიტერატურული ორეულის — პავკა კორჩაგინის მიმართ.

რევაზ ჯაფარიძე.



ნიკოლოზ ოსტროვსკი.

მხატვარ ა. საპოენიკოვის ნამუშევარი.

ინგლისის ამბავი

საერთაშორისო დეკადური ცხოვრების მიმოხილვა

ზეხასის ზრაგედია ბურუსში

ვილსონი გმობს

ლონდონი, 27 სექტემბერი. (საკ‌ლესი). ინგლისის ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა ჰაროლდ ვილსონმა სიტყვა წარმოთქვა წინასაარჩევნო მიტინგზე, რომელიც პლიმუტში გაიმართა. თავის გამოსვლაში მან დაგმო, კერძოდ, ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალების შექმნის გეგმები. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს გეგმები ხელს უწყობენ უწინარეს ყოვლისა დასავლეთ გერმანიის ატომურ შეიარაღებას. „განა შეუძლია რომელიმე ჩვენგანს, — თქვა ვილსონმა, — მშვიდად იყოს, როცა არის იმის შესაძლებლობა, რომ გერმანია გადაიქცეს ატომურ სახელმწიფოდ. ეს კი სწორედ ტორების პოლიტიკის ლოგიკური დაბოლოებაა“.

ვილსონმა ბრალად დასდო ინგლისის კონსერვატიულ მთავრობას, რომ იგი ყოველნაირად არიდებს თავს იმას, რომ პირდაპირ გამოთქვას აზრი მრავალმხრივი ატომური ძალების შექმნის ამერიკული გეგმის შესახებ. კონსერვატორებმა რომ გაიმარჯვონ არჩევნებში, ისინი გამოაცხადებენ შემდეგ, რომ ინგლისი მონაწილეობას მიიღებს ამ ძალებში, თქვა ვილსონმა.

გოლდუოტერის სასარგებლოდ აბიტაციას... პარიზში ეწევიან

პარიზი, 28 სექტემბერი. (საკ‌ლესი). შეერთებულ შტატებში აბობოქრებულმა წინასაარჩევნო ქარიშხალმა საფრანგეთის დედაქალაქს მიაღწია. ამერიკის ყოფილმა ელჩმა რომში, ამჟამად გოლდუოტერ-მილერის მომხრე მოქალაქეთა ეროვნული კომიტეტის თანათავმჯდომარემ კლერ ლუსმა პარიზში გახსნა სენატორ გოლდუოტერის კანდიდატურის მხარდამჭერის კამპანია.

კამპანია იწარმოებს დასავლეთ ევროპაში მცხოვრებ ამერიკელებს შორის. პარიზის ერთ-ერთ სასტუმროში, რომელიც მორთული იყო გოლდუოტერის პორტრეტებითა და შესაბამისი ლოზუნგებით, გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომლის დროსაც კლერ ლუსმა ჟურნალისტებს გაიცნო „ევროპის კომიტეტი“ და ჩამოთვალა რესპუბლიკური პარტიის პროგრამა.

ვინ მოკლა ჯონ კენედი?

უორენის კომისიის მოხსენება

ვაშინგტონი, 27 სექტემბერი. საკ‌ლესის კორესპონდენტები ვ. ვაშედჩენკო და ვ. პეტრუსენკო გვაცუობინებენ:

სპეციალური კომისია ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის უორენის მეთაურობით თოთქმის 10 თვის განმავლობაში აწარმოებდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯონ კენედის მკვლელობის გარემოებათა გამოძიებას. და აი, როგორც იქნა, გამოქვეყნდა დიდი დასკვნითი მოხსენება, რომელიც უამრავ ფაქტს, ჩვენებას, აზრს, ვარაუდს შეიცავს ის ტრაგედიის შესახებ, რომელიც გასულ შემოდგომაზე მოხდა ტეხასის ქალაქ დალასში.

უორენის კომისიის მოხსენება ამტკიცებს, რომ პრეზიდენტი კენედი მოკლა ხაზოვარ ჯვეთი ჯარის ყოფილმა ჯარისკაცმა ლი ჰარვი ოსვალდმა. თავის მხრივ ოსვალდი მოკლა დალასის ღამის კლუბის მფლობელმა ჯეკ რუბიმ.

კომისიის წევრებმა დასასკვნეს, რომ ოსვალდი „მარტო“ მოქმედებდა და „არავინ არ ეხმარებოდა მკვლელობის გეგმის შედგენასა და განხორციელებაში“. კომისიამ „ვერ აღმოაჩინა იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ ოსვალდი ან რუბი რომელიმე საშინაო ან საგარეო შეთქმულების მონაწილენი იყვნენ, რომელსაც მიზნად ჰქონდა პრეზიდენტ კენედის თავიდან მოშორება“.

იმ მხრივ ბლოგნოვ ოსვალდ მყოფი მოწმეების ჩვენებანი, რომელშიც კენედი იჯდა, — სხვადასხვაგვარია, აღნიშნულია მოხსენებაში. ერთნი ამტკიცებენ, რომ ორი გასროლა მოხდა, სხვანი კი ბუთი ან ექვსი გასროლაო. მაგრამ კომისიამ დაასკვნა, რომ სულ სამი გასროლა იყო. ამასთან კომისიის წევრებს შეეკმნათ აზრი, რომ ერთ-ერთი ტყვია მანქანას არ მოხვდა.

ექიმები, რომლებმაც პრეზიდენტის ცხედარი გაკვეთეს, გამოთქვეს ვარაუდი, რომ პირველი ტყვია მოხვდა კისერში, ხერხემლის ოდნავ მარჯვნივ და ყელში გამოვიდა. ექიმებს მიაჩნიათ, რომ ეს ჭრილობა სასიკვდილო არ იყო. ვარაუდობენ, რომ ამავე ტყვიით დაიჭრა ტეხასის შტატის გუბერნატორი კონელი.

ჭეორე გასროლით, რომელიც დაახლოებით 5 წამის შემდეგ მოჰყვა პირველს, კენედი თავში დაიჭრა. ექსპერტიზამ დადგინა, რომ ტყვია თავის ქალის უკანა ნაწილში შევიდა, გამოვიდა მის მარჯვენა გვერდით ნაწილში და დიდი ღი ჭრილობა დატოვა. ექსპერტები გამოთქვამენ ვარაუდს, რომ ამ ტყვიის ნამსხვრევი მოხვდა ავტომობილის სამწერ მინას, გაბზარა, მაგრამ ვერ გახვრიტა იგი. ამის საფუძველზე მოხსენებაში უარყოფილია ვარაუდი, რომ გასროლა წინიდან მოხდა და არა უკანიდან. ეს ჭრილობა სასიკვდილო იყო.

მაგრამ მოხსენების დასკვნითს ნაწილში აღნიშნულია, რომ დიდი ჭრილობა თავში და ჭრილობა ყელში სამედიცინო დასკვნაში აღწერილია გაკვეთის შემდეგ მხოლოდ როგორც „ტყვიის სავარაუდო გამოსვლის ჭრილობები“. ამრიგად, ექსპერტებმა არ იკისრეს ზუსტად დაედასტურებინათ ჭრილობების ხასიათის საფუძველზე, თუ რომელი მხრიდან ისროდნენ.

მიუხედავად ამისა, უორენის კომისია დაეთანხმა ზოგიერთი დამსწრის ჩვენებებს, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ გასროლა წიგნსაცავის შენობის მეექვსე სართულის ფანჯრიდან მოხდა. დალასელი მცხოვრების ჰოვარდ ბრენნინის სიტყვით, ამ ფანჯარაში მან დაინახა დაახლოებით 30 წლის გამხდარი კაცი, რომელმაც დაუმიზნა და ესროლა პრეზიდენტის ავტომობილს. მალე პოლიციამ, ბრენნინის სიტყვის მიხედვით, რადიოთი გადასცა ეკვმატანელის აღწერა. ცოტა ხნის შემდეგ მოხდა დალასელი პოლიციელის ტიბიტის საიდუმლოებით მოცული მკვლელობა და რამდენიმე მოწმემ განაცხადა, რომ იგი რევოლვერით მოკლა კაცმა, რომელიც ბგავდა ბრენნინის მიერ აღწერილ პიროვნებას.

ოსვალდი დაამატმრეს და თავდაპირველად ბრალდებად წაუყენეს პოლიციელ ტიბიტის მკვლელობა, შემდეგ კი პრეზიდენტ კენედის მკვლელობაც.

როგორც აღნიშნულია მოხსენებაში, ოსვალდის დაკითხვა მცირე შესვენებებით სულ დაახლოებით 12 საათს წარმოუდგა. დაკითხვის დროს იგი უარყოფდა, რომ რაიმე დამოკიდებულება ჰქონდა ამ ორ მკვლელობასთან. უაღრესად გასაკვირია შემდეგი ფაქტი: დალასის პოლიციის კაპიტანი, რომელმაც ძირითადად დაკითხა ოსვალდი, მოხსენების თანახმად, „არავითარ ჩაწერას არ აწარმოებდა და დაკითხვის მსვლელობაში არ წარმოებდა არავითარი სტენოგრაფიული ან მაგნეტოფონური ჩაწერა“.

მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ დალასის ხელისუფლებმა არანორმალური ვითარება შექმნეს ოსვალდის საქმის გარშემო. მას შემდეგაც კი, აღნიშნულია მოხსენებაში, რაც დალასის პოლიციისა ტელეფონით გააფრთხილეს, ოსვალდზე თავდასხმა მზადდებოდა, მან სიფრთხილის არავითარი ზომები არ მიიღო, „დალასის პოლიციის გადაწყვეტილება საოლენ საპატიმროში გადაეყვანა ოსვალდი საჯაროდ, მცდარი იყო. ამან ხელი შეუწყო ოსვალდის დალუქვას“, — აღნიშნულია კომისიის დასკვნაში.

ცნობილია, რომ კენედის მკვლელობის შემდეგ ამერიკის რეაქციული პრესა ცდილობდა ლამის „მარქსისტად“ წარმოესახა ოსვალდი. მოხსენებაში აღრეთვე არის იმის ცდა, რომ ოსვალდი „თვითნასწავლ მარქსისტად“ დასახონ. მაგრამ აქვე შენიშნავენ, რომ მას თავისებურად ესმოდა მარქსიზმი და კომუნიზმი, „ამ ტერმინების საკუთარი ინტერპრეტაცია განავითარა“.

კომისიამ გამოიძია ოსვალდის ცდები დაესახა თავისი თავი ისეთ ადამიანად, რომელიც დაკავშირებულია სხვადასხვა პოლიტიკურ ორგანიზაციასთან, კერძოდ ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტურ პარტიასთან და მთელ რიგ კომიტეტებთან, რომლებიც კუბის დასაცავად იბრძვიან. კომისიამ ვერ აღმოაჩინა რაიმე დამადასტურებელი საბუთი, რომ კონტაქტებს, რომლის დამყარებასაც იგი ცდილობდა, რაიმე დამოკიდებულება ჰქონდა იმასთან, რომ შემდეგში — ოსვალდმა პრეზიდენტი მოკლა“.

კომისია აგრეთვე უარყოფს, რომ ოსვალდი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს, გამოძიების ფედერალური ბიუროს ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის რომელიმე სხვა ორგანოს აგენტი იყო.

მოხსენებაში ზუსტად არ არის ახსნილი ოსვალდს მიერ პრეზიდენტ კენედის მოკვლის მოტივი, მაგრამ ყურადღება ექცევა ოსვალდის უაღრესად ზომიერებას მოკლებულ ხასიათს.

მოხსენებაში ამტკიცებენ, რომ ოსვალდს მკვლელობის მიდრეკილება ჰქონდა, რომ იგი თავს დაესახა ამერიკის არმის გადამდგარ გენერალს უოკერს, ხოლო შემდეგ, თითქოს, ყოფილ ვიცე-პრეზიდენტ ნიქსონზე თოვდასხმას აპირებდა.

უორენის კომისიის ვრცელმა მოხსენებამ ვერ გაფანტა ყველა ეჭვი „საუკუნის დანაშაულის“ გარშემო, როგორც ამერიკის პრესამ უწოდა კენედის მკვლელობას. როგორც ჩანს, მთელ საიდუმლოებას როდი იეხდა ფარდა. ჯერ კიდევ კომისიის საქმიანობის დასაწყისში მისმა თავმჯდომარემ უორენმა განაცხადა პრეზიდენტ კენედის მკვლელობასთან დაკავშირებული ზოგიერთი ფაქტი, შესაძლოა, ახლანდელი თაობის სიცოცხლის განმავლობაში ვერ გამოირკვესო.

,,არაკომპეტენტური მოხსენება“

ლონდონი, 28 სექტემბერი. (საკ‌ლესი). ინგლისის კომიტეტის „ვინ მოკლა კენედი“ თავმჯდომარემ ცნობილმა ფილოსოფოსმა ბერტრან რასელმა განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ გამოქვეყნდა უორენის კომისიის მოხსენება, რომელიც აწარმოებდა პრეზიდენტ კენედის მკვლელობის გარემოებათა გამოძიებას. „კომისიის მოხსენებას ნამდვილად არ შეუძლია გაფანტოს ეჭვი მკვლელობის უკანასკნელი ოფიციალური ვერსიის გამო“, — ნათქვამია განცხადებაში.

რასელი აღნიშნავს, რომ გამოძიების დროს შეიცვალა ექიმთა ჩვენებანი, წამოყენებული იქნა მკვლელობის გარემოებათა სამი ერთმანეთის საწინააღმდეგო ოფიციალური ვერსია, უგულებელყოფილ იქნა დამსწრეთა ჩვენებანი. ყველა ეს ფაქტი გამოვლინდა დამოუკიდებელი გამოძიების შედეგად, რასაც ამერიკელი იურისტი მარკ ლეინი აწარმოებს.

რასელს სავეჭოდ მიაჩნია უორენის კომისიის წევრთა მიუკერძოებლობა და აცსადებს, რომ მათ სცადეს გვერდი აეარათ მ. ლეინის მიერ წარმოდგენილი ფაქტებისათვის და მიეჩქმალათ ჩვენებანი, რომლებიც ამ ფაქტებს ადასტურებენ. „სამწუხაროდ მოხსენება სრულიად არაკომპეტენტურია და სამარცხვინოა ამ მოხსენების ავტორებისათვის“. ცხადია, რომ ბევრი რამ ჯერ კიდევ დაფარულია საზოგადოებრიობისაგან, აცხადებს რასელი დასასრულ, და აღნიშნავს, რომ კომიტეტი „ვინ მოკლა კენედი“ განაგრძობს მუშაობას, სანამ ნაკოვნი არ იქნებიან პრეზიდენტ კენედის ნამდვილი მკვლელები.

მოკლე ცნობები

△ **დაბა** კონცის რაიონში ტრირის მახლობლად (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) დაიმსხვრა საფრანგეთის სამხედრო ვერტმფრინავი. ეკიპაჟის ერთი წევრი დაიღუპა.

△ **ასზე** მეტი სახლი წალეკა წყლის ნაკადმა რამდენიმე კაშხალის დანგრევის შედეგად ალიენდეს დასახლებულ პუნქტში (მექსიკის ჩრდილოეთი ნაწილი). ათასამდე კაცი უსახლკაროდ დარჩა.

რობერტ კენედის განცხადება

ნიუ-იორკი, 28 სექტემბერი. (საკ‌ლესი). რობერტ კენედმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ არ აპირებს წაიკითხოს უორენის კომისიის მოხსენება მისი ძმის პრეზიდენტ ჯონ კენედის მოკვლის შესახებ. მაგრამ, მან. თქვა, რომ გააცანეს ამ მოხსენების შინაარსი და „სავსებით დარწმუნებულია, რომ კომისიამ შეისწავლა ყველა მასალა და განიხილა ყველა დამამტკიცებელი საბუთი“. რობერტ კენედმ, რომელიც ახლა დემოკრატიული პარტიის კანდიდატია ამერიკის შეერთებული შტატების სენატში, დასძინა, ჩემი აზრით, იმისათვის, რაც მოხდა, პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ ოსვალდს და მისთვის არავითარი დახმარება არ გაუწევიათ გარეედანო.

მარგარეტ ოსვალდის განცხადება

ნიუ-იორკი, 28 სექტემბერი. (საკ‌ლესი). ლი ჰარვი ოსვალდის დედამ (ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებმა ოსვალდზე მიიტანეს ეჭვი, რომ მოკლა პრეზიდენტი ჯონ კენედი) განაცხადა პრესის წარმომადგენლებს, ვერ დამარწმუნა უორენის კომისიის მოხსენებამ, რომ ჩემმა შვილმა მოკლა კენედი. „მოხსენებაში არ არის დამამტკიცებელი საბუთები, — თქვა ქალბატონმა მარგარეტ ოსვალდმა. — ეს მხოლოდ მათი დასკვნებია. ძალაუნებურად უნდა ვეჭიდოთ სიტყვაზე. მათ არაფერი ახალი არ მოუყვანთ“.

,,ინოსტრანეცი“ ,,ეროვნული ერთიანობის“ ,,ინტერვენციაზე“

ბერლინი, 28 სექტემბერი. (საკ‌ლესი). „ინოსტრანეცი“ ეროვნული ერთიანობის „ინტერვენციაზე“ ეროვნული ერთიანობის „ინტერვენციაზე“ ... ეროვნული ერთიანობის „ინტერვენციაზე“ ... ეროვნული ერთიანობის „ინტერვენციაზე“ ...

კაცი ლეგენდა



ფილმი „ვინა ხართ თქვენ, დოქტორო ზორგე?“ თბილისის ეკრანებზე

ერა, ეს არ არის ზღაპარი, არც ავტორის ფანტაზიით შეთხზული ფანტეზია. ეს არის მახვილი კინემატოგრაფიული ენით ამეტყველებული, ზღაპრად ქცეული სინამდვილე, რომელიც თავისი უჩვეულო თვისებურებით და მოვლენათა დაუჯერებელი მსვლელობით ზღაპარს ემსგავსება, რომელიც თავისი ცხოვრები შინაარსით და ხასიათით მრავალი წლის წამდგომ ლეგენდის სახით მოუვა ჩვენს მომავალ თაობას, განაცვიფრებს მას თავისი საარაკო გმირობით, შეუდრეკელი ვაჟკაცობით, ხალხისადმი სიყვარულის, კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის თავდადებული ბრძოლის განუზომელი სიდიადით.

ეს არის სიმღერა ადამიანზე, რომელიც სიცოცხლეში არც თუ ისე შესამჩნევი იყო, რომელმაც სიკვდილის შემდეგ მსოფლიო განაცვიფრა და უკვდავების ძეგლი დაიდგა. ეს არის პოემა თავმდაბალ, მოკრძალებულ, მხურვალე გულის მქონე ადამიანზე, რომლის რკინის ნებისყოფა, გონების სიმახვილე, ზუსტი ორიენტაციის გრძნობა და შორსმჭვრეტელობა აღტაცებას გვრიდა მახლობლებს, გაკვირვებას იწვევს ამჟამად.

რიჰარდ ზორგეს — გამოჩენილ საბჭოთა მზვერავს სიცოცხლეში არავინ იცნობდა გარდა გარკვეული წრისა. მხოლოდ სიკვდილის შემდეგ გახდა იგი საყოველთაოდ ცნობილი პიროვნება.

ყოველ წუთს განსაცდელის წინაშე მდგომი, დღენიადაგ სიკვდილის თვალებში მზირალი, იგი არასოდეს არ ყრიდა ფარხმალს. მოქმედების უკანასკნელ წუთებშიც კი სრული სიმშვიდითა და მოვალეობის დიდი შეგნებით გადასცემდა ცნობებს, რომელთაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ქვეყნად სიმართლისა და სიკეთის გამარჯვებისათვის,. მომავალი მშვიდობისა და ბედნიერებისათვის.

ხალხის სიყვარულით ანთებულ მგზნებარე გულს სიცოცხლის ფასად დაუჯდა ეს სამსახური. იმპერიალიზმის მსახურთა ბნელი განაჩენით რიჰარდ ზორგე დასჯილ იქნა სიკვდილით. მაგრამ ასეთი ადამიანები არ კვდებიან. იგი დარჩა, როგორც სიკვდილის დამთრგუნველი, სახელისა და დიდების შარავანდედით მოსილი უკვდავი გმირი. ამიტომ არის, რომ ფილმის მოქმედი პირების აზრთა სხვადასხვაობა ზორგეს სიცოცხლისა და სიკვდილის შესახებ ექსპოზიციურ ნაწილში, სიმბოლურად ჟღერს. ხოლო ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირის, იაპონიაში გერმანიის საელჩოს იმ პერიოდის საოქმო განყოფილების უფროსის გენ. ოტო მაისნერის განცხადება: **„ზორგე ცოცხალია? რატომაც არა?! ასეთს შეუძლია ბედიც კი სძლიოს“** რეალობის შთაბეჭდილებას ტოვებს.

უაღრესად რეალისტური სტილის ფილმი რეალისტური ფერებით გადმოგვცემს რიჰარდ ზორგეს დიდი შინაარსის შემცველი ცხოვრების ისტორიას. გადმოგვცემს დიდი სიმართლით, ჭეშმარიტი ადამიანური სითბოთი, ნიჭიერი მხატვრის ხედვითა და ოსტატობით.

„პირდაპირ გითხრათ, — განაცხადა ფილმის დამდგმელმა რეჟისორმა ივ ჩამპმა გაზეთ „იზვესტიას“ სპეციალურ კორესპონდენტთან საუბარში,— რაც უფრო მეტად ვეცნობოდი ზორგეს ცხოვრებას, მით უფრო სიყვარულს ვგრძნობდი მის მიმართ. ის გახდა ჩემი გმირი, ახლობელი, გულადი, ჭკვიანი, კრისტალურად წმინდა ადამიანი“. მონუმენტურად ჩამოყალიბებული, ორიგინალური ხერხებით აგებული, დიდი კინემატოგრაფიული ტილო „ვინა ხართ თქვენ, დოქტორო ზორგე?“ ნათლად გვიდასტურებს ავტორის ამგვარ დამოკიდებულებას თავისი ნაწარმოების მთავარი გმირისადმი, მისი ცხოვრების თვითეული მომენტისადმი.

გამოჩენილი საბჭოთა კინორეჟისორი ალექსანდრ დოვჟენკო ამბობდა: „დიდი მხატვრული კინემატოგრაფიული ტილო, ისე როგორც სხვა სახეობანი ხელოვნებისა და ლიტერატურისა, ძირითადად ავტობიოგრაფიული ხასიათისა უნდა იყოს, მის მნიშვნელოვან ელემენტებს უნდა შეიცავდეს“. ფილმი „ვინა ხართ თქვენ, დოქტორო ზორგე?“ ამ უდაოდ სწორი და მრავალზის დამტკიცებული დებულების ნათელი მაგალითია. არის რაღაც საერთო და ნათესაური რიჰარდ ზორგეს და ივ ჩამპის შორის. მართლაც, ივ ჩამპი ფაშიტს დამპყრობთაგან საფრანგეთის განთავისუფლების წლებში ხომ წინააღმღეგობის არმიის მზვერავთა ჯგუფის წევრი იყო?

მასალასთან სიერთო სულიერმა და ფიზიკურმა ნათესაობამ, ისტორიული მოვლენებისადმი საღმა პოლიტიკურმა მიდგომამ და მისმა სწორმა ანალიზმა განაპირობა ფილმის იდეური და მხატვრული სრულყოფა, მისი საერთაშორისო მაღალი მნიშვნელობა.

რიჰარდ ზორგესთან დაკავშირებული მრავალწლოვანი საქმე, მისი ბუნება და ხასიათი საშუალებას აძლევდა ფილმის დამდგმელ რეჟისორს შეექმნა სტანდარტულ ყაიდაზე აგებული დეტექტური ფილმი. მაგრამ ივ ჩამპი ამ გზიდ არ წასულა. როგორც პროგრესული მხატვარი, იგი ზღვა მასალიდან იღებს მხოლოდ ძირითადს, მთავარს, გმირის ხასიათისა და მის წინ მდგომი პოლიტიკური ამოცანის შესატყვისს, რომელსაც არსებითი ხასიათი ეტყობა. ამ ნიშნით ფილმში ჩანს ავტორის ინდივიდუალობა, ავტორის ინდივიდუალური ხელწერა, ავტორის ინდივიდუალური ფერადოვნება.

ფილმი „ვინა ხართ თქვენ, დოქტორო ზორგე?“ ეს ფილმი ეკუთვნის ეკრანებზე ბოლო ხანს ნაჩვენებ ფილმებს,